

## განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის უკუძალის საკითხის ახლებური გადაწყვეტით.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონის უკუძალასთან დაკავშირებული ნორმების შესაბამისობაში მოყვანა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციის მიხედვით სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს, ყველა შემთხვევაში აქვს უკუძალა. წინამდებარე ცვლილებებით, კოდექსის აღნიშნული ნორმა შესაბამისობაში მოვა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებულ ნორმასთან, რომლის მიხედვით, ნორმატიულ აქტს, თუ იგი ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას, შეიძლება ჰქონდეს უკუძალა მხოლოდ უშუალოდ ამ ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. იგივე პრინციპი გავრცელდება ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებით. კერძოდ, თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი გაითვალისწინებს სასჯელის შემსუბუქებას ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი შემცირდება ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში, თუ ამას უშუალოდ ითვალისწინებს ეს კანონი.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

#### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

#### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

#### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

#### ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის wevrebI პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა,კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა,კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია